სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტში, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტის (1 საშტატო ერთეული "ბ" კატეგორია) - სამსახურში მისაღებად რექტორის 2026 წლის 7 აგვისტოს N213/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 7 სექტემბრის N59/2026 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **"16" სექტემბერი, 2026 წ.**

18.00 საათი, თსუ I კორპუსი, ვაჟას კაბინეტი

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან სამი წევრი:

1. გიორგი ალიბეგაშვილი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნანა გონჯილაშვილი, თსუ ასოც. პროფესორი (კომისიის წევრი);
3. ეკატერინე ნავროზაშვილი, თსუ ასოც. პროფესორი (კომისიის მდივანი);

სხდომას არ ესწრებოდენ: მაკა ელბაქიძე, თსუ ასოც. პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) და რუსუდან ნიშნიანიძე, თსუ ასოც. პროფესორი (კომისიის წევრი).

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტის (1 საშტატო ერთეული "ბ" კატეგორია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ალიბეგაშვილის, ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინსტიტუტებში გამოცხადებულ საკონკურსო ადგილზე სულ შემოვიდა 1 განცხადება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო

ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტის ("ბ" კატეგორია) - 1 საშტატო ერთეული; შემოსული განცხადება - 1, კონკურსანტი - ზვიად მურადაშვილი.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ერთი კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

კონკურსანტმა ზვიად მურადაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). კონკურსანტ ზვიად მურადაშვილის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგინებას მხარი დაუჭირა კომისიის ოთხივე წევრმა.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ ზვიად მურადაშვილის **სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის** შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ბ კატეგორიის ასისტენტის თანამდებობას და იგი ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში. აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც საბაკალავრო პროგრამებშია შეტანილი (ქართული ენა B2.1; ; ქართული ენა B2.2; ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის) და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება.

კონკურსანტ ზვიად მურადაშვილის **სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში** იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა. წარმოდგენილი ნაშრომი შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში კონკურსანტს კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში.

გასაუბრების ეტაპზე ზვიად მურადაშვილმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის მრავალწლიან ადმინისტრაციულ საქმიანობაზე: 2003 წლიდან მუშაობს ფაკულტეტის ადმინისტრაციაში აქტიურად მონაწილეობს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში როგორც ადმინისტრაციული, ასევე პედაგოგიური მიმართულებით. მისი პრიორიტეტებია

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ახალი სერვისების შეთავაზება. ავიად მურადაშვილმა წარმოადგინა რეალისტური ხედვა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. ზვიად მურადაშვილი არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისათვის.

კომისიის სამივე წევრმა დაუსვა შეკითხვები და მოისმინეს ვრცელი და არგუმენტირებული პასუხები ზემოხსენებული პრობლემატიკის ირგვლივ.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა **(3 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე)** დაუჭირა მხარი ზვიად მურადაშვილის კანდიდატურას. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

კომისიის წევრებმა კონკურსის ორივე ეტაპის შედეგებზე მსჯელობისა და შეჯამების შედეგად ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნიეს კენჭისყრით დამდგარი შედეგი და ერთხმად დაუჭირეს მხარი ზვიად მურადაშვილის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტის საკონკურსო თანამდებობაზე ("ბ" კატეგორია) ასარჩევად.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტის (რექტორის 2026 წლის 7 აგვისტოს N213/01-01 ბრძანების საფუძველზე, 1 საშტატო ერთეული "ბ" კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების საფუძველზე გამარჯვებულად გამოცხადდეს ზვიად მურადაშვილი.

2. კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი **გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებგვერდზე და** გადაეცეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: /პროფ. გიორგი ალიბეგაშვილი/

კომისიის მდივანი: /ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი /

კომისიის წევრი: / ასოც. პროფ. ნანა გონჯილაშვილი /

თარიღი: 16.09.2026